








## წარმოების დიზაინი



ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია წარმოების თანხლება. შეგიძლიათ სისტემაში შექმნათ დიზაინი თითოეული მზა პროდუქციისათვის, დიზაინის შექმნა მოსახერხებელია იმ შემთხვევაში როცა ერთი და იგივე რაოდენობის მასალა, ხელფასები და ზედნადები ხარჯები სჭირდება ერთეული მზა პროდუქციის დამზადებას.


### წარმოება/დიზაინი.



მზა პროდუქციის ჩანაწერის დასამატებლად დიზაინის ზედა ეკრანში გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან ზედა ეკრანის მონაცემთა არეში დააწკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.


	ჩანაწერის დამატება	Ins
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del
	კოპირება (Ctrl+Shift+C)	Ctrl+C
	ჩასმა	Ctrl+V


მზა პროდუქციის ასარჩევად დადებით ველზე „კოდი“ ან „პროდუქციის დასახელება“. დააჭირეთ ღილაკს  კორექტირება , შემდეგ ღილაკს  (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით საგნების სიაზე. აირჩიეთ სასურველი მზა პროდუქცია თუ არ გაქვთ სიაში დაამატეთ. ამ შემთხვევაში დავამატოთ „მზა პროდუქცია1“





დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“, შემდეგ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ „1“.

მზა პროდუქციისათვის საჭირო მასალების დასამატებლად დადექით ქვედა ეკრანზე და დაამატეთ ჩანაწერი. გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან ქვედა ეკრანის მონაცემთა არეში დააწკაპეთ მუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.



მასალის ასარჩევად დადექით ველზე „კოდი“ ან „მასალა/ზედნადები ხარჯები/ხელფასი“. დააჭირეთ ღილაკს  კორექტირება, შემდეგ ღილაკს  (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით საგნების სიაზე. აირჩიეთ საჭირო მასალა მზა პროდუქციისათვის. ასევე საგნების სიაში შეგიძლიათ დაამატოთ მომსახურების ჩანაწერი წარმოების ხელფასისათვის და სხვა ხარჯებისთვის. მითითებულ მაგალითში ერთი ერთეული მზა პროდუქციისათვის დავამატეთ საჭირო მასალა და ხარჯები.

წარმოების დიზაინი				
კოდი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეული	კომენტარი
10	მზა პროდუქცია1	1.0000	ცალი	
<div style="border: 1px solid gray; padding: 2px;"> <span>📄</span> <span>📁</span> <span>✖</span> <span>🖨</span> <span>🔍</span> <span>📄</span> </div>				
კოდი	მასალა /ზედნადები ხარჯები /ხელფასი	რაოდენობა /ხარჯი	ერთეულ	ღირებულების მატარებელ
14	მასალა1	1.0000	კგ	
15	მასალა2	1.0000	კგ	
16	მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი	0.5000	ლარი	
17	ელ.ენერჯია	0.1000	ლარი	

შეიქმნა ერთი მზა პროდუქციისათვის დიზაინი.